MES 5 23 0000506248

05/05/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 21 აპრილს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესუილი განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნინო გორგოშაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- ხათუნა წერეთელი
- ალექსანდრე კეკენაძე
- ნინო თამაზაშვილი
- ხათუნა მაისაია
- ნანა ვერულაშვილი
- მედეა ზურაბიშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

დირექტორი - ია ერაძე;
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ნათელა ჩაჩუა;

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედი“
კოლეჯის დირექტორი - იზი იორამაშვილი;
კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი - ქეთევან ჯანელიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული

შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132,2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

პირველი საკითხი: შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132,2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა თვით აცილების შესახებ შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთან დაკავშირებით, რადგან წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემიამ - SBA მიიღო გადაწყვეტილება გაიუქმოს „ოფისის მენეჯერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და აცნობა ცენტრს საბჭოს გადაწყვეტილების ცვლილებასთან დაკავშირებით საბჭოს წინაშე შუამდგომლობის წერილით. ნანი დალაქიშვილის განმარტებით, აღნიშნული პროგრამის გაუქმებამ გამოიწვია კოლეჯის პროგრამების თაობაზე საბჭოს რამოდენიმე გადაწყვეტილებაში ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, დადგა საჭიროება ცვლილებები განხორციელებულიყო შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBAს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132, 2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ოფისის მენეჯერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ, რამაც გამოიწვია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შემცირება. ასევე, ცნობილი იყო რომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანების MES 3 23 0000193352 „კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების მიღების მიზნით, 2023 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ“ საფუძველზე, დაფინანსება არც მიმდინარე წელს იყო განსაზღვრული და ოფისის მენეჯერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ვერ მოხვდა პრიორიტეტთა შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132, 2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132, 2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში, კერძოდ, გადაწყვეტილებების პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ცხრილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **(დანართი 1).**

ხაბჭოს წევრმა ხათუნა ჩხარტიშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა.

მეორე საკითხი: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;,

მესამე საკითხი: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, გაერთიანებული სახით წარედგინა პრეზენტაცია, დარგის ექსპერტებთან ერთად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და „საექთნო საქმე“ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო თამაზაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 თებერვლის N 204005 და N204004 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იმედში“ დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. კოლეჯმა შეიცვალა მისამართი და გადავიდა სხვა ფართზე და ახალ ფართზე გადაიტანა პროგრამები. შემოწმების ფარგლები აისახა ბრძანებაში. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2023 წლის 13 მარტს განხორციელდა ვიზიტი შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში (მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ ბოჭორმის 8). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად იყო ასახული დასკვნაში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა ორივე პროგრამის ფარგლებში

დაწესებულებას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს ლაბორანტი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია სააფთიაქო) ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობისა და პროფესიული სტუდენტების თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად ასისტირებას უწევს პროფესიული განათლების მასწავლებლებს. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით პრაქტიკული მეცადინეობისათვის ამზადებს მასალა-ნედლეულს, უზრუნველყოფს ლაბორატორიაში არსებული ინვენტარისა და აღჭურვილობის მოვლას. ის ასევე ჩართულია შეფასების პროცესშიც. აღსანიშნავია, რომ ლაბორანტი გ.დ არის კოლეჯის ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული, მას ასევე აქვს

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ქიმიაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული არის საუკეთესო პრაქტიკა, ვინაიდან უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვას, გამოცდილების გაზიარებას და სტუდენტთა მოტივაციის გაზრდას.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.2.3.4 ინდიკატორი - კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023“, სადაც მოცემულია: კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ. ასევე მოცემულია სასწავლო გარემოს ფოტო-კოლაჟი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ვინაიდან კატალოგი არის ორგანიზაციის სავიზიტო ბარათი, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, კატალოგში დაიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია როგორიცაა: პროფესიული სტუდენტების, მათ შოტის სსსმ და შშმ სტუდენტების მხარდამჭერი სერვისები, კოლეჯის წარმატების მაგალითები, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა, არაფორმალური აქტივობების განხორციელება და ა.შ.

ვიზიტი განახორციელდა შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იმედში“ (მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49 / ბოჭორმის 8) დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ხელშეკრულება (2022 წლის 26 ივლისი N01/22), რომლის მიხედვითაც მოიჯარე შენობას დროებით სარგებლობაში (9 წლის ვადით) გადასცემს შპს მრავალპროფილიან კოლეჯ იმედს. კოლეჯმა წარმოადგინა აზომვითი ნახაზი, რომლის მიხედვითაც არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად. მთლიანი ფართობია 750 კვ.მ.

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (2022 წლის 21 დეკემბრის N 120 ბრძანებით), სადაც გაწერილია კოლეჯის საქმიანობისათვის ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები, არსებული მატერიალური რესურსების სწორ განკარგვასა და მოვლა- პატრონობაზე პასუხისმგებელი პირია- მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი. მასთან გასაუბრებით დგინდება, რომ იგი მუდმივად ზრუნავს და აკონტროლებს მატერიალური რესურსის მოვლა-პატრონობის და შენახვის საკითხზე, ზედამხედველობს კოლეჯის ბალანსზე არსებული ქონების დაცვას და უზრუნველყოფს მის რაციონალურ გამოყენებას. ვიზიტის დროს, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ აქვთ საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი და საერთო სარგებლობის სივრცეები. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 20 თებერვლის N 7 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და გეგმა, აღნიშნული შემუშავებულია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ეიჩ ეს ი ჯორჯიას „- თან, რომელიც იღებს ვალდებულებას დამკვეთს გაუწიოს შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სრული მომსახურება. კომპანიის დირექტორის 2021 წლის 10 ნოემბრის N01-07 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს შრომის უსაფრთხოების ორი სერთიფიცირებული სპეციალისტი შპს მრავალპროფილიანი კოლეჯ ,,იმედის“ ობიექტზე (ქეთევან დედოფლის გამზ. 47/49. ბოჭორმის 8). დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო

ადგილზე ინსტრუქტაჟების რეგისტრაციის ჟურნალები, სადა პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ხელმოწერით ადასტურებენ ტრენინგებსა და ინსტრუქტაჟებში მონაწილეობას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულება, შესაბამისად გამოყოფილი სივრცეებით. შენობაში განთავსებული სველი წერტილები, პანდუსები, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აუცილებელი საოფისე ინვენტარი. ასევე, სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფები, პროექტორები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, ასევე, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

კოლეჯს ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს სამი AC (ფარმაციის კაბინეტი/ქიმიურ-ტექნოლოგიური/აფთიაქის მოდელი; ქიმიურ -ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია; სამედიცინო კაბინეტი) და 2 B (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო სასწავლო გარემოს მოდელი ორი AC გარემო - ქიმიურ-სააფთიაქო ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი და - განკუთვნილია 26-26 პროფესიული სტუდენტისათვის. AC გარემოში განთავსებულია: მონიტორი, სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, საშრობი კარადა, მაცივარი, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით (სხვადასხვა მასალის, ზომის და ფერის), სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტების ცხრილები. მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის. ლაბორატორიაში გამოკრულია მუშაობის უსაფრთხოების წესები, ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა სამივე AC გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის შერჩევით დათვალიერება. დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსების ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. B გარემოში (აუდიტორია N16 და N11) განთავსებულია 28-28 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და დემონსტრირების საჭირო აღჭურვილობა. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აუდიტორიების დატვირთვის სქემები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 144 სტუდენტზე. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ ფარმაცევტულ კომპანიებთან: „ჰსპ ფარმა“, „გეფა“ და „იმპექსი“. ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების ჩამონათვალი (8 მოდული) და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შორის 20 დარგის სპეციალისტი, 2 ქართული ენის და 8 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი.

დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები, რომელის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებიც დანიშნულია ბრძანებით. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი ,იმედი“ ,,საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8-ში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 2 (ორი) AC გარემო: AC No 9 აუდიტორია (30 პროფესიულ სტუდენტზე), AC No2 აუდიტორია (50 პროფესიულ სტუდენტზე). პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი 2 (ორი) B გარემო: B No11 - კომპიუტერული კლასი (24 პროფესიულ სტუდენტზე) B No16 - კომპიუტერული კლასი (28 პროფესიულ სტუდენტზე). დაწესებულებაში ვიზიტისას ექპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა მატერიალური რესურსები და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო საქმე" მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს. საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 58 აქტიური პროფესიულ სტუდენტი. 2020 წელს მიღებული 20 პროფესიული სტუდენტი, 2021 წელს მიღებული 15 პროფესიული სტუდენტი, 2022 წელს მიღებული 22 პროფესიული სტუდენტი. სტატუსი შეჩერებული აქვს - 8 პირს, სტატუსი შეწყვეტილი აქვს - 6 პირს. სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური სწავლებისას, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის (2021 და 2022) მიღების პროფესიულ სტუდენტებს. კოლეჯი შეუფერხებლად ახორციელებს 37 (15+22) პროფესიული სტუდენტის სწავლებას სასწავლო აუდიტორიებში. 15 პროფესიული სტუდენტი (2021 წლის მიღების) სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან (2023 წლის აპრილიდან) გადიან პარტნიორ კლინიკებში სწავლებას. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ ინსტრუქტორები 1/7 თანაფარდობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ტიტე ბოლქვაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ფართის ცვლილებას ხომ არ გამოუწვევია კალენდარულ გეგმებში ცვლილება ან სასწავლო პროცესის ჩამორჩენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოუხდა ფორსმაჟორულ მდგომარეობაში მუშაობა ფართის ცვლილების პროცესში. კოლეჯს

მატერიალური რესურსი ჰქონდა იმ რაოდენობის, რაც მხოლოდ იმ მომენტში სჭირდებოდა განხორციელებას. ვინაიდან დაწესებულებას მასალა - ნედლეული ყოველთვის მეტობით ჰქონდა, ახალ ფართზე არ გაუჭირდა გარემოს მოწყობა. უსაფრთხოების სისტემის მოწყობის, პრეპარატების გადატანის და დასკვნის მიღების შემდეგ კოლეჯმა სტუდენტები გადაიყვანა ახალ ფართზე, აღნიშნულის განხორციელებას დასჭირდა დაახლოებით ორი თვე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად,განხორციელდეს შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის (ს/კ: 206156817) „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის (ს/კ: 206156817) „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 3).**

მეოთხე საკითხი: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჭუჭულაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 21 თებერვლის №204003 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ. ბ" და "ბ. დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე. ა" და " ე. ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. კოლეჯმა შეიცვალა მისამართი და გადავიდა სხვა ფართზე და ახალ ფართზე გადაიტანა პროგრამები. შემოწმების ფარგლები აისახა ბრძანებაში. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2023 წლის 13 მარტს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ

კოლეჯ იმედში (მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47/49 ბოჭორმის №8). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საფინანსო სერვისები" ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

ვიზიტი განახორციელდა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იმედში“ (მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47/49 ბოჭორმის 8) დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ხელშეკრულება (2022 წლის 26 ივლისი N01/22), რომლის მიხედვითაც მოიჯარე შენობას დროებით სარგებლობაში (9 წლის ვადით) გადასცემს კოლეჯ იმედს. კოლეჯმა წარმოადგინა აზომვითი ნახაზი რომლის მიხედვითაც არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად. მთლიანი ფართობია 750 კვ.მ,.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, ასევე, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.
ვიზუალური დათვალიერების შედეგებიდან დგინდება რომ, დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. სასწავლო გარემოები და სამუშაო სივრცეები გადანაწილებულია ისე, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ შეეშალოს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნა, რომელის მიხედვითაც დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგრადობა სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის No370 დადგენილების - ტექნიკურს რეგლამენტს „სახანძრო უსაფრთხოების წესისა და პირობების შესახებ“. ზემოაღნიშნულ ბიუროს მინიჭებული აქვს აკრედიტაცია სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ 2024 წლის 19 თებერვლამდე. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 26 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ იმედის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე, სადაც ითხოვს გეგმის შეთანხმებას ახალ მისამართზე (ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No8.) აღნიშნულის პასუხად 2023 წლის 30 იანვრის No260413 კორესპონდენციით საგანგებო სიტუაციების სამსახური ადასტურებს გეგმის შესაბამისობას 2017 წლის 6 ოქტომბრის No452 დადგენილების მოთხოვნებთან.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, ასევე, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ საჭიროებს A, B და C სასწავლო გარემოს. შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - აუდიტორია №16 (A,B), რომელიც აღჭურვილია 28 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1ც; პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი 28ც; სადაც ჩატვირთულია საბანკო პროგრამის „Alta“ დემო ვერსია. აუდიტორიაში დამონტაჟებულია პროექტორი; განთავსებულია აგრეთვე, 1 დაფა; კომბაინი (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); ხმის აუდიო მოწყობილობა; გამომთვლელი 28 ც; ფულის სათვლელი მანქანა 1 ც; ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი 1 ც; ბანდეროლის მულაჟი 28 ც; ფულისა და სხვა ფასეულობების მულაჟები; შტამპები; საინკასაციო ჩანთის მულაჟი 2 ც; ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი და სხვ. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები. დაწესებულების მატერიალური რესურსი იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან: სს გუდვილი -28 პროფესიულ სტუდენტზე; სს თიბისი ბანკი - 30 პროფესიულ სტუდენტზე; სს ლიბერთი ბანკი-28 პროფესიულ სტუდენტი.

ექსპერტის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან: ზოგადი მოდულებისთვის 10 განმახორციელებელი; ქართული ენის - 2 განმახორციელებელი; პროფესიული მოდულებისთვის - 4 განმახორციელებელი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, საიდანაც დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია. ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, სადაც შექმნილია სასიამოვნო და მყუდრო გარემო. ბიბლიოთეკაში შემოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ელექტრონული სახით სრულად არის წარმოდგენილი, ხოლო მატერიალური სახით ძირითადი სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლიარის სახით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პრინტერი, შესაბამისად სტუდენტებს აქვთ საშუალება შექმნან საჭირო რესურსის ასლი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის განხორციელების ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის (ს/კ: 206156817) "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 4).**

მეხუთე საკითხი: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

მეექვსე საკითხი: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, გაერთიანებული სახით წარედგინა პრეზენტაცია, დარგის ექსპერტებთან ერთად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ,,აღმზრდელის" და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის" საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჭუჭულაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 21 თებერვლის №204021 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების შესაბამისობის შემოწმების მიზნით (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა). ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას სურს „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 40 პროფესიულ სტუდენტამდე (20 პროფესიული სტუდენტით გაზრდა) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სხვადასხვა კვლევებით, 57 მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციით, აღმზრდელთა 44% არაკვალიფიციურია. 2020 წლის მდგომარეობით, თბილისის მასშტაბით იყო აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მქონე მინიმუმ 1500 ადამიანის საჭიროება. ეს საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება. აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია „AGIC“ მიერ ჩატარდა „ადრეული და სკოლამდელი განათლების კვლევა საქართველოში 2022წ.“ კვლევაში ასახულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, რომლის თანახმად, ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებში მოთხოვნა აღმზრდელ-პედაგოგებზე წლების მიხედვით, სტაბილურად მზარდია, ხოლო ყოველწლიური ზრდა საშუალოდ შეადგენს 9,5%-ს. ამასთან, კოლეჯის 2022 წლის მიღებისთვის „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თითო ადგილზე რეგისტრირებული იყო 5 აპლიკანტი. კოლეჯს ხშირად მომართავენ მობილობის მსურველებიც.

ასევე ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას სურს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 44 პროფესიულ სტუდენტამდე (32 პროფესიული სტუდენტით გაზრდა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კოლეჯი აკეთებს სხვადასხვა დასაქმების პორტალებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზს. დასაქმების კერძო სააგენტოს, hr.ge -ს მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების უმრავლესობა მოიცავს სწორედ ისეთ პოზიციას, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მიღებისათვის პროგრამაზე დარეგისტრირდა გამოცხადებულ ადგილებზე სამჯერ მეტი აპლიკანტი.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2023 წლის 13 მარტს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში (მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49 /ბოჭორმის №8). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ „აღმზრდელისა" და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი"

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „აღმზრდელი“, განხორციელებისათვის შპს საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი ; წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49 /ბოჭორმის №8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს: - A სასწავლო გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია (№21), სადაც განთავსებულია პროექტორი/ეკრანი 1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1 ცალი; ფლეშ-მეხსიერება 1 ცალი; მაგიდა-2 ადგილიანი 10 ცალი; სკამი20 ცალი; დაფა -1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1 კომპლექტი; ხმის აუდიო მოწყობილობა; კომბაინი (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); პროგრამისთვის განკუთვნილი ვიზუალური თვალსაჩინოებები. - B სასწავლო გარემო - შერჩეულია №16 აუდიტორია, სადაც განთავსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; პროექტორი/ეკრანი 1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1 ცალი; პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი 28 ცალი; ფლეშ-მეხსიერება 1 ცალი; სკამი-28 ცალი; დაფა-1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1 კომპლექტი; კომბაინი (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); - პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან : • შპს ბაგა -ბაღი ,,ნევერლენდ“ ოთხი ფილიალი - 40 პროფესიულ სტუდენტზე • შპს „ერუდიტები“ - 40 პროფესიულ სტუდენტზე • თბილისის 45-ე ბაგა-ბაღი - 40 პროფესიულ სტუდენტზე.

ექსპერტის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელის“ განხორციელებაში სულ ჩართულია 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 14 - პროფესიული მოდულების და 2 ქართული ენის განმახორციელებელი პირი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში აღმზრდელი, მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 44 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ABC სასწავლო გარემო (№11 აუდიტორია). აღნიშნულ სასწავლო გარემოში განთავსებულია მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტისთვის და პროფესიული მასწავლებლისთვის. აგრეთვე №11 აუდიტორიაში განთავსებულია: 22 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, ერთი კომპიუტერი პროფესიული

განათლების მასწავლებლისთვის, და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი, ტელევიზორი/მონიტორი, დაფა, კარადა, და აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობა.

ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში კოლეჯს მითითებული აქვს 18 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 5 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. ჩვენს მიერ მათი პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა რომ ყველა მათგანს უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია. ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გაესაუბრება.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, (ცვლილება 2022 წლის 30 დეკემბრის №83 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტის მე–17 მუხლი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას. კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებს ბიბლიოთეკა ემსახურება მათი საჭიროების გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგია“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით, მოდულზე დაშვების წინაპირობები დაცულია. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რა საფუძველი ჰქონდა დაწესებულებას კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით.

ექსპერტის განცხადებით, 2020 წელს თბილისის მასშტაბით, აუდიტორიული და საკონსტიტუციო კომპანია „სიჯიაის“ მიერ, ჩატარდა კვლევა 57 მუნიციპალიტეტში, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ აღმზრდელთა 44% არაკვალიფიციური კადრი იყო და გამოიკვეთა საჭიროება აღმზრდელ პედაგოგის სტატუსის მქონე 1500 ადამიანის. მისი თქმით კვლევაში ასევე ასახული იყო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემები, რომლის თანახმადაც ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებში მოთხოვნა აღმზრდელ პედაგოგებზე წლების მიხედვით იყო სტაბილურად მზარდი, ხოლო ყოველწლიური ზრდა საშუალოდ შეადგენდა 9,5%-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ აღმზრდელის საგანმანათლებლო პროგრამა არ ითხოვდა C გარემოს, მაგრამ ხელშეკრულება კოლეჯის განმახორციელებლებთან იმიტომ გაფორმდა, რომ ბაღის დაწესებულება ძალიან მაღალი სოციალური პასუხისმგებლობას აკისრებდა მათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს (ს/კ:206156817) დანართით განსაზღვრულ ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 40-ით **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს (ს/კ: 206156817) დანართით განსაზღვრულ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 44-ით **(დანართი 6).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106,5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	136,5

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109,5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109,5

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური დუალური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60 (45 - მოდულური 15 - დუალური)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

პროგრამის სახელწოდება	ფინანსები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	62
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	77

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	144
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49/ბოჭორმის No 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	28
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი No47/49 / ბოჭორმის ქ. No8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი No47/49 / ბოჭორმის ქ. No8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	44
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76